

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფელ ცხემლისხიდის
მაჟორიტარი დეპუტატის ლალი სიჭინავას მიერ 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018
წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

მინდა კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა იმ დიდი ნდობისთვის, რომელიც 2017 წლის ნოემბერში არჩევნებზე გამოხატეთ. ეს სეროზული გამოწვევა იყო ჩემთვის...ამირჩევდა და გამომიცხადებდა ნდობას მეორეჯერ ჩემი სოფელი?...მე არასდროს მომიტყუებია, ვიცი გჯერათ ჩემი, მენდობით ... სწორედ ჩემი და ჩემი ოჯახის სოფლისადმი სიყვარულმა და ერთგულებამ არჩევანი უკვე მეორეჯერ ჩემზე გაგაკეთებინათ , რომ ვყოფილიყავი თქვენი თითოეულის ხმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. მერწმუნეთ არცერთი წუთით არ დამვიწყებია ჩემი ვალდებულება, კარგად ვიცი ყველა ის პრობლემა რაც ჩვენს თემს-ცხემლისხიდსა და ბაღდადს აწუხებს.

ვაკეთო სიკეთე, გავცე სიყვარული, ჩემი ცოდნა და უნარები მოვახმარო ხალხს, ეს არის ჩემი დევიზი ცხოვრებაში და ამ პრინციპით ჩავები საკრებულოს საქმიანობაში. პირველად ამირჩიეთ როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, მეორედ კი პარტია,, ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატი, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს პარტიის და თქვენს წინაშე. ვაცნობიერებ ამ ნდობას და ვცდილობ იმედი არ გაგიცრუოთ...

საკრებულოს უფლებამოსილებიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე და დავესწარი საკრებულოს 12 მორიგ და 7 რიგგარეშე სხდომას., კომისიების 54 და ფრაქციის 12 სხდომას. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ წევრი. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის, სამანდატო საპროცედურო იურდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების შესაბამისად თვეში ორჯერ, თუმცა ნებისმიერ დროს საჭიროების მიხედვითაც ვხვდებოდი და ვიღებდი ჩემს ამომრჩევლებს. რომლებიც თავიანთი პრობლემების შესახებ გულდიად საუბრობდნენ. არცერთი მათი სატკივარი უყურადღებოდ არ დამიტოვებია. საქმის კურსში ვაყენებდი როგორც საკანამდებლო ასევე აღმასრულებელ ორგანოებს. მოსახლეობასთან შეხვედრისას ძირითადად წამოჭრილი პრობლემები ეხებოდა სამედიცინო მომსახურებაში დახმარებას, შიდა გზების მოწესრიგებას, სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების შეცვლას,

ელექტრო გადამცემი ხაზების , სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგებას, გაზიფიცირების მოგვარებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალურ პრობლემას, სოფლის ცენტრების მოწესრიგებას, გარე განათების მოგვარებას, ნაგვის ურნების დამატებას. კომუნიკაციის უნარი მეხმარება მოვუსმინო, გავიზიარო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და თანადგომით გადავწყვიტო მათი პრობლემები. მტკივნეულია უსმინო ადამიანებს, რომელთაც წამლის ფული და ექიმთან მისვლის საშუალება არაქვთ, ამათი ყველაზე მეტად მესმის, საკუთარ თავს წარმოვიდგენ ხოლმე, ვცდილობ გავამხნევო, ვანუგეშო და დახმარება აღმოვუჩინო. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამიდან დახმარება გაეწია 35 მოქალაქეს , სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია 12 მოქალაქეს, იძულებით გადაადგილებული პირების დახმარების პროგრამიდან 1 მოქალაქეს, ვეტერანთა ფულადი წახალისების პროგრამიდან 2 ოჯახს, უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან 2 მოქალაქეს ხანდაზმული (100 და მეტი წლის)პირების დახმარების პროგრამიდან 1 მოქალაქეს , მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამიდან 38 მოქალაქეს, საგარანტიო სამედიცინო მომსახურების პროგრამიდან 7 მოქალაქეს, ონკოლოგიური დახმარების პროგრამიდან 4 მოქალაქეს, ერთწლამდე ასაკის დახმარების პროგრამიდან 1 მოქალაქეს, დიალეზის პროგრამით სარგებლობს 1 მოქალაქე.

განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები: დაიგო ბეტონის საფარიანი გზა 2 უბანში (ზეგანში და ხომერიკების უბანი) 8 ოჯახს გადაეცა თუნუქის სახურავი. სამშენებლო მასალებით დახმარება გაეწია 3 ოჯახს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფელ ცხემლისხიდის მოსახლეობამ გამოყოფილი თანხის ფარგლებში პრიორიტეტად სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მილხიდის აღდგენა და მოსაცდელის მოწყობა აირჩია, უჩხუბის უბანში გარე განათება დამონტაჟდება, ხოლო სოფელ ბაღდადის მოსახლეობის გადაწყვეტილებით გარე განათება, მგზავრთა მოსაცდელი და სანიაღვრე არხი მოეწყობა. ვამაყობ ჩემი აქტიური თანასოფლელებით, რომლებიც თავიანთ აზრს სოფლის პრობლემებზე თამამად აცხადებენ, მონაწილეობას იღებდნენ კომისიების სხდომებში , შეხვედრებს ვმართავდით ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ხშირად მიწევდა მათთან შეხვედრა და მეც შესაბამის სამსახურებს ვეკონტაქტებოდი , რამაც შედეგი გამოიღო და 2019 წელს იწყება სოფლების, ბახვი - ვაკიჯვრის და ცხემლისხიდის წყალმომარაგებით უზრუნველყოფის სამუშაოები.რომელიც რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდება, პროექტს 9 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

გურიის გუბერნატორის, ბატონ ზურაბ ნასარაიას , ბაღდადის მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოკვეთილი გაზიფიცირების პრობლემის საკითხის მოგვარება წელს დაიწყება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განხორციელდება სოფელ ცხემლისიხიდი-სოფ.ვაკიჯვრის გზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1662 გრძ მ. სოფ.გაღმა დვაბზუ-ბაღდადი-ბახვის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (2300 გრძ.მ). გაგრძელდება ბეტონის გზების დაგება, შიდა გზებზე მოხრეშვა.

სასიხარულო და საამაყო იყო გიორგი სალუქვაძის სახლ - მუზეუმში „კალანდის“ შემობრძანების ტრადიციული ღონისძიებით აღნიშვნა.აგუნას გადამახილი, გურული ღვეზლის ცხობის უძველესი რიტუალი, ჩიჩილაკი, სანოვაგით დატვირთული ხონჩით მეკვლე და მრავალჟამიერი...ტრადიციულ ღონისძიებას მოწვეულ სტუმრებთან ერთად, მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მიუხედავად ჩამოთვლილი აქტივობებისა სოფელში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სოციალური მდგომარეობა გასაუმჯობესებელია, ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია. გაზიფიცირება მოსაგვარებელია. ელექტრო გადამცემი ხაზები მოსაწესრიგებელია. მინდა ავლნიშნო, რომ საკრებულოში მიღებული საკითხების კომისიებში განხილვის თუ საკრებულოს სხდომებზე გადაწყვეტილების მიღებისას ჩემს პოზიციას ყოველთვის ღიად ვაფიქსირებ. ვფიქრობ ვარ სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მე ვარ ქალი და ვცდილობ ჩემი ქცევით, აქტიურობით, მიზანდასახულობით, შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით და საერთოდ ჩემი ცხოვრებით დავანახო ქალებს რამდენი რამის გაკეთება შეგვიძლია, რამდენი რამ შეიძლება შევცვალოთ როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მიუხედავად არსებული პრობლემებისა, დაბრკოლებისა ცხოვრება ბრძოლად ღირს... და ჩვენ ეს შეგვიძლია... ამიტომაცაა საჭირო მეტი ქალი პოლიტიკაში თუ ნებისმიერ სხვა პოზიციაზე. ჩვენ ახალს არაფერს ვიგონებთ, ჩვენ ვუბრუნდებით ქვეყნის ისტორიულ საწყისებს, რადგან ქალთა როლი საქართველოს ისტორიაში ყოველთვის იყო გამოკვეთილი, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კუთხით, საამაყო იყო ნამდვილად ოზურგეთის საკრებულოს ახალგაზრდა ქალი დეპუტატების მიერ ორგანიზებული „ მეწარმე ქალთა ფორუმი” , რომელიც გურიის რეგიონის მასშტაბით, მცირე და საშუალო ბიზნესში, ფინანსებზე წვდომის ხელშეწყობას, ერთიანი ქსელის შექმნასა და რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის, ბიზნესის დაფინანსების, რეგულაციებისა და სიახლეების შესახებ მუდმივად განახლებული ინფორმაციის მიწოდებას ისახავს მიზნად. პროექტის ფარგლებში მეწარმე ქალებისთვის იგეგმება ტრენინგების ჩატარება, ასევე გურიის

რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით გაიცემა მცირე გრანტები. ფორუმზე ცხემლისხიდიდან ინგა დუმბაძე და მანანა სიხარულიძე იყვნენ მიწვეულები, რომლებმაც თავიანთი ნამუშევრები არაჩვეულებრივად წარმოადგინეს.

აქტიურად ვარ ჩართული გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობაში . სადაც მოქალაქეებისათვის ბევრი სასაიკეთო და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა ხდება. ხშირად მიწევს სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობა, სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებთან , სხვა ქვეყნის აქტიურ და გამოცდილ ადამიანებთან შეხვედრა. სადაც მიღებულ ცოდნას აქტიურად ვიყენებ საქმიანობაში. არსებულმა და შეძენილმა უნარ-ჩვევებმა მომცა საშუალება მიმელო აქტიური მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემუშავებაში განხილვაში და მიღებაში. მხარი დავუჭირე , რამეთუ ყველა ის პრობლემა რომელიც ჩვენს საზოგადოებას აწუხებს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში სწორადაა განსაზღვრული, ეს პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

როგორც ,საკრებულოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ სამართლებრივ აქტების მიღება დამტკიცებაში. კერძოდ:

-კურიორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის შემოღების შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

-სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ.

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ .

-სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების დამტკიცების შესახებ

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ.-

აგრეთვე, საკრებულოს სხვადასხვა მიღებულ განკარგულება/დადგენილებებში რომელიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს, კომისებსა და ფრაქციის სხდომებზე დასწრებით.

გეუბნებოდით ვიქნებოდი თქვენი ინტერესების დამცველი და ვარ კიდევ, არააქვს მნიშვნელობა, დეპუტატობის მანდატი მექნება თუ არა, მე თქვენს სამსახურში ვიყავი, ვარ და ვიქნები სანამ ფიზიკურად შემეძლება... ჩვენ ერთად, ერთმანეთის გვერდში დგომით შეუძლებელს შევძლებთ...

თქვენი თანადგომით, აქტიურობით იმედს ვიტოვებ მომავალი საანგარიშო პერიოდი უკეთესი იქნება

თქვენთან ურთიერთობა ბედნიერებაა.

საკრებულოს წევრი, სოფელ ცხემლისხიდის

მაჟორიტარი დეპუტატი ლალი სიჭინავა

21.02.2019წელი